№ 7 წელიწადი პირველი ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო გაზეთი

რედაქციისაგან

დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილები უნდა იყვეს გარკვევით დაწერილი და ავტორის მიერ ხელ-მოწერილი მისივე ადრესით.

გაზეთის ფასი:

ცალკე ნომერი ყველგან 2 კაპ.
წლის დამლევამდე 75 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი ტექსტის წინ 20 კაპ., ტექსტის შემდეგ 10 კ., ტექსტის შუა 40 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 2 მან. უმუშევართათვის ამ ფასების ნახევარი.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, სტამბა ჰუტენბერგისა, ოლგისა და სლეპცოვის ქუჩების კუთხე.

ხუთშაბათი, 22 ოქტომბერი. 1909 წ. ხუთშაბათი, 22 ოქტომბერი.

ქ ა რ თ უ ლ ი თ ე ა ტ რ ი

ხუთშაბათს, 22 ოქტომბერს, 1909 წ.

ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

კომედია ვ. შექსპირისა.

ჭირვეული ცოლის მორჯულება

კომედია 3 მოქმედებად თარგ. კ. მესხისა.

დ ი დ ი ს ე რ თ ა

კომედია 1 მოქმედებად ვ. გუნიასი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ა. კარგარეთელი, მ, მდივანი, ე. ჩერქეზიშვილი ჰ. შოთაძე; ბ-ნნი ვ. გამრეკელიძე, გ. ჯედვევანოვი, ნ. გვარაძე. ი. ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილი-ხაშმელი, კ. მესხი, ვ. მატარაძე, ი. ჟვიძე, შ. სათვაროვი კ. შათირიშვილი.

ადგილების ფასი: ლოჟები 10 მ. 50 კ.-დამ, 5 მან.-მდე, პარტერი 2 მ. 50 კ.-დან, 60 კ.-მდე, გალერეა 40 კ.-დან 20 კ. მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.

საღამოს გამგე კნ. ელ. ირ. ჯამბაკურ-ორბელიანისა.

გაიხსნა ტფილისის კერძო ახალი
სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ქსენიას ქუჩა, სახლი № 7, „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,

ტელეფონი № 590.

ბალარჯიშვილი ვ. დ. შინ. და ბავშვ. ყოველ-დღე, გარდა კვირისა 2—3 ს.

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ., დღეს; კვ. გარდა 11—12 საათ.

ბედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

ბურკო ბ. ა. შინაგ შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$ $3^1/_2$ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

მანსვეტოვი· ვ. მ. შინ., ორშ., ხუთშ., და შაბ. 1—2 ს.

მელიქიშვილი ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12 | 1 ს.

მუსხელიშვილი ვ. ხ. თვალის, ორშ. ოთხშ. და პარას. 2—$2^1/_2$ ს.

ფირადოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 11—12 საათ.

პაპოვი ბ. ა. ყურ., ყელის და ცხვირ. ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—$2^1/_2$ ს.

რცხილაძე ნ. კბილ. ყოვ. დღ. 9—11 საათ.

სობოლევსკი ბ. ვ. ქირურ. ყოვ. დღ. 9—11 საათამ.

თიკანაძე ი. ე. დედაკ. სანებიო, ყოველ დღე 1—2 ს.

ფედოროვი ე. ბ. მიკრ. ქირ.-ბაქტ. გამოკვლევა, (50—6)

ვ ო ბ ზ ლ ი ს

კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცის, ტელეფ. 695.

ს. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ი. გოგართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$11^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—სამშ., ხუთშ., შაბ., 2—$2^1/_2$ ს. თვალისა.

ბ. ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვ. ყოველ დღე 12—1 ს.

ე. ბ. ფეოდოროვი—ყოველ დღე ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავათმყოფობანი. მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკლეევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (50—6)

ტფილისის წვრილ ვაჭართა პროფესიულ საზოგადოების

მთავარი კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წარსულ წლის მიხედვით, წელსაც დანიშნულია ერთი დღე—23 ოქტომბერი, როდესაც საზოგადოების წევრნი ვაჭარნი მთელ თავიანთ ნავაჭრიდან **წილს გადასდებენ**

ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების
სასარგებლოდ

ამიტომ მთავარი კომიტეტი სთხოვს ქალაქის მცხოვრებთ, კეთილ ინებონ და 23 ამა ოქტომბერს იმ ვაჭრებთან ივაჭრონ, რომელთა სია ცალკე იქნება ამ დღეებში დაბეჭდილი.

ქართული თეატრი

შაბათს, 24 ოქტომბერს, 1909 წ. გაიმართება საჯარო ლექცია ქართულად

გრიგოლ როზაქიძისა

ა მ თ ე მ ა ზ ე:

სულიერი დრამა ნიკოლოზ ბარათაშვილისა.

ლექციის დაწყების წინ ბ. ივ. გომართელი წაიკითხავს ბარათაშვილის მოკლე ბიოგრაფია-დახასიათებას, ხოლო თავ. ნიკოლოზ ერისთავი წარმოსთქვამს პოეტის რამდენსამე ლექსს.

დაწვრილებით პროგრამებში. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რადგან განვიძრახეთ ალექსანდრე ყაზიბეგის დაუბეჭდავ ლექსების გამოცემა, ამისათვის ვთხოვთ, ვისაც-კი ამ მწერლის ახალგაზდობის სურათი მოეპოვება, მოგვაწოდოს შემდეგის ადრესით: ნაძალადევი მაგისტრალნი ქუჩა, № 2, **გრიგოლ ჩარკვიანს.** დაბეჭდვის შემდეგ სურათი ახლად დაბეჭდილის ერთის ცალით, მადლობით დაუბრუნდება პატრონს. (10—5)

«დროების» კანტორისაგან.

წლიურ ხელის მომწერთ, ვისაც სრულად არა აქვს ფული შემოტანილი, გაზეთი აღარ გაეგზავნებათ.

ყოველ თვის პირველ რიცხვიდან გაზეთი აღარ ეგზავნება, ვისაც დამდეგ თვის ხვედრი ფული შემოტანილი არა აქვს. ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა. გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე საჭიროა ხელის მომწერმა კანტორას აცნობოს, რომ მომავლისთვის ყურადღება მიექცეს. (3—1)

ე ქ ი მ მ ა

პ. არდაზიანმა

განაახლა ავადმყოფების მიღება.

ბავშვების და შინაგან ავადმყოფ.

ადრესი: კუთხე მელიქოვის და ალექსანდროვის ქუჩა ინტენდანსტვოს პირდაპირ. 9-ე საპ. უბანში.

იღებს ავადმყოფებს დილით 9—12 საათ., საღამოთი 5—7 ს.

5

სახელმწიფო სათათბირო

მეხუთე სხდომაზე სათათბირომ კვლავ განაგრძო მიწათ-მოწყობის კანონის განხილვა.

ვრცლად ილაპარაკა კუტლერმა. იგი შეეხო საგლეხო ბანკსაც და მიწათ-მომწყობ კომისიების მოქმედებასაც. აღნიშნა, რომ ბანკმა განგებ აუწია ადგილებს ფასები. მანვე მოითხოვა, რომ კომისიების თავმჯდომარეებად მოსამართლენი იყვნენ.

ბერეზოვსკი პირველმა ციფრებით ხელში დაამტკიცა, რომ საგლეხო ბანკის წყალობით ადგილების ფასმა მართლაც აიწია.

ბოლოს წაიკითხეს 42 დეპუტატის მიერ შეტანილი შეკითხვა შინაგან საქმეთა მინისტრისადმი. შეკითხვა შეეხება იმ წესების დარღვევას, რომლითაც ნავთიანი ადგილები იცემა იჯარით. შეკითხვა ორი კვირის ვადით კომისიას გადაეცა.

ოჯახი შეირყა.

დედა ნახე, მამა ნახე,
შვილი ისე გამოინახე.
ხალხური გამოთქმა.

ყველამ იცის, რომ ოჯახი დედ-მამისაგან და შვილებისაგან შესდგება. პირველ დღიდამ ბავშვის დაბადებისა ამზრდელათ, გამწურთვნელად და მფარველათ მისი მავნე ძალისაგან დედ-მამაა.

დედ-მამა, ზნეობით სავსენი, ჭკუა-გონებით განვითარებულნი, შვილების უანგარო მოსიყვარულენი, ეცდებიან გაულვიონ შვილის გულში ღვთის, სამშობლოს, ადამიანის და პირუტყვის სიყვარული, ჭკუა-გონება განუვითარონ, მაგალითებით უჩვენონ განსხვავება ავ-კარგისა და მით დააყენონ მკვიდრ ზნეობის ნიადაგზე.

ამ რიგად მოწყობილი ოჯახი შვილებისთვინ პირველი დასაწყისი სკოლა იქნება. ამ სასწავლებელში ორი მასწავლებელი ივარჯიშებს: მამა და დედა. ამ ორი კაცის ხელში იქმნება შვილების ბედნიერება და უბედურობა, მანამ იგინი ოჯახში იქნებიან.

უღელი, რომელსაც დედ-მამა ეწევა შვილების გაზრდაზე, დიდად მძიმე და შესანიშნავია. დედ-მამის ხელმძღვანელობით ყველა წევრნი ოჯახისა უნდა იყვნენ გაერთებულნი, გამსჭვალულნი კეთილის აზრით, სურვილით, სიყვარულით და პატივისცემით ერთი მეორისა. შვილებს სუყველთვინ უნდა ახსოვდეთ, რომ ოჯახის მართველნი დედ-მამაა და იმათ გაზრდაზე ბევრი ტანჯვა-ვაება და უსიამოვნება მიუღიათ. ამ გარემოებით შვილება დიდის პატივისცემით და მოწიწებით უნდა ემორჩილებოდნენ დედ-მამის განკარგულებას, დამყარებულს კეთილ-განძრახვაზედ საბედნიეროდ ოჯახისა.

ოჯახი მაგარი ბურჯია კაცობრიობის და საზოგადოების ცხოვრების წარმატებისა, რადგანაც საზოგადოება და სახელმწიფო შესდგება ოჯახის წევრთაგან. თუ ოჯახი შეირყა, მაშინ საზოგადოებას და სახელმწიფოს წესიერი მოწყობილება მოეშლება, ხალხი ზნეობით დაეცემა, აირევ-დაირევა.

რაც ჩვენ წინად ვსთქვით, თუმცა მართალია, მაგრამ ყველა დედ-მამას ვერ ძალუძს თავისი შვილების რიგიანად აღზრდა და თავიანთი მძიმე მოვალეობის პატიოსნად აღსრულება.

ცოლის შერთვა და ქალის გათხოვება ადვილია, მაგრამ ოჯახის ტვირთის ატანა მძიმეა, თუ ისინი შვილების აღზრდისთვინ მომზადებულნი არ არიან, ხერხი აკლიათ, ქარაფშუტა—მაწანწალანი და ზნეობით დაცემულნი არიან. ესეთი უტყუარი ჭეშმარიტება ხალხის გამოთქმითაც ამ სიტყვებით მტკიცდება.

დედა ნახე, მამა ნახე,
შვილი ისე გამოინახე.

ი. წინამძღვრიშვილი.

† სპირიდონ სპირიდონის-ძე ესაძე.

სიკვდილმა გამოგვლიჯა ერთი ახალგაზრდა მოღვაწე, თუმცა რუსეთში აღზრდილი ბატარაობიდანვე, მაგრამ დიდი მოერთგულე ჩვენი სამშობლოსი, სპირიდონ ესაძე. განსვენებული გარემოების გამო მოწყვეტილი იყო სამშობლო ნიადაგს—ამან მაინც ვერ აღმოუფხვრა მას გულში სიყვარული თავის ერისა და ყოველთვის გაფაციცებით თვალყურს ადევნებდა ჩვენს საზოგადო საქმეებს.

სპირიდონი იყო ცნობილი საბუნებო მეტყველების მეცნიერებაში. მას ეკუთვნის რუსულ ენაზე შრომა: 1) სავარაუდო თეორიისა, 2) სამთო საქმის ისტორია კავკასიაში 100 წლის განმავლობაში და ამ ბოლო დროს ფიზიკის საბელმძღვანელო, რომელმაც პროფ. ხვოლსონისაგან იშვიათი ქება დაიმსახურა. (ეს სახელმძღვანელო ქართულად ითარგმნება) დიდ იმედს იძლეოდა განსვენებული მოშავალში, მაგრამ ციმბირში ჭლექით დაავადებულმა ველარ დაასრულა ნაყოფიერი საზოგადო მოღვაწეობა. საუკუნოთ იყოს ხსენება შენი, პატიოსანო მუშაკო.

ზიორგი.

ხატის ბრალია?

უბრალო ამბავი

(ქალაქის ცხოვრებიდან).

არა ქაჯან, არა, მე საციმბიროთ ხელს მოვაწერ, თუ ეგ ხატის ბრალი არ იყოს. ჩემი სოსოს დაბერებამ ხატის, ბრალია.—დაიძახა დარწმუნებით ფეფენამ უკანასკნელად გადაზომა მტკავლით, მუხლზე გადაფენილი, ქართული კაბის აბრეშუმის სარტყელი.

— აჰა ხედავთ? მტკაველ ნახევარს იმატებს... რა თქმა უნდა ბრალეულია.

ერთი კიდევ დაამთქნარა ისე ლონივრათ, რომ ლამის ყბები არ ამოსცვივდა, მსხვილი ცრემლებიც გადმოჰყარა თვალთაგან და წამოდგა მძიმეთ.

— აბა, ეხლა ერთი ნახშირი და დანაც მომეცით, შეხვედრილს გამოულოცო. კეკე!—მიუბრუნდა ტირილით თვალებ დასიებულ ახალგაზრდა დედაკაცს.

— ჯვრის წერის სანთელი (ჯვირგვინის სანთელი) და ფული მომიტანე, თუ რაიმე აქვს ჯვრის წერაში ჩაყოლილი, იმასაც გავიგებ.

ოთახში ქალები ირეოდნენ, მოხუცი დედა კუთხეში იჯდა მოკეცილი და საზარლად ღმუოდა. მარჯვნივ კედელთან მიდგმულ ტახტზე ლოგინი იყო გაშლილი და პირ აღმა ეგდო ზედ ახალგაზრდა, საკინძ ჩამოწყვეტილი, გულგაღეღილი ოცდა სამი წლის ვაჟი. ლამაზი ხუჭუჭა თმა, რომელიც წინედ საყვარლად ეფინებოდა, ცოტად მზისაგან დამწვარ, მაღალ სანდომიან შუბლზე, ეხლა, საშიშრათ აწეწილი გადაჰყროდა უკან. სურათი ცხვირის ნესტოები საზარლად ებერებოდა. ზაფრანის ფერი ედო სახეზე. მკერდი მაღლა აუდიოდა, ხანგამოშვებით აძიგძიგებდა მთელის ტანით, იკვარჩხებოდა, თვალებს უაზროთ ატრიალებდა და სახე საშინლად ემანჭებოდა, სჩანდა, ძლიერს ტკივილს განიცდიდა. სახლის აივანში კაცებს მოეყარათ თავი და მსჯელობდნენ. თვალი ხშირათ ეჭირათ ოთახისკენ, ზოგ მათგანს აღელვებაც ეტყობოდათ.

— მერე სად დაეწიე კაცო?—ეკითხებოდნენ ერთს.

— კი არ დავეწიე, ქვევიდან მოვედინებოდი გარიჟრაჟზე. ვნახოთ, ჩვენი შაქრუაც თავ-გადაგლეჯილი მორბი', ვა, მორბის კაცო, მორბის თითქოს მთელი მილეთის ჯარი დასდევნებიაო.

— განა შეატყე რამე?.. ჰკითხეს.

— ვინ არ შეატყობდა, კაცო, ისე შეშლილს. როცა ხელი ჩავსჭიდე და გამოვსწიე წამოსაყვანათ.

— „მტკვარში მტკვარშიო“ გაიძახოდა.

— ვაიმე.—დაიკივლა ამ დროს ვილამაც ოთახში და გონება მიხდილი იქვე ჩაიკეცა. კაცები სახლში შეცვივდნენ. აზროვნება დაკარგულ და შეშლილ შაქროს დაევლო ცოლისთვის მხრებში ხელი და ღონივრათ ანჟღრევდა. მხოლოდ მხეცის სახე იყო იმ დროს კაცში მოთავსებული. შეშინებული დედაკაცები კედელ ეკვროდნენ და არ იცოდნენ 'როგორ დაეღწიათ თავი.

ბევრი აღარ აცადეს კაცებმა; გონება მიხდილი კეკე გამოაკალეს ხელიდამ და გადასცეს ქალებს, შაქრო ისევ წააქციეს ლოგინზე. ხელფეხი თოკით შეუკრეს, როგორც გიჟს და გულ-მტკივნეულათ დასცქეროდნენ თავს. მზე უდარდელათ იჭყიტებოდა ფანჯარაში, თითქოს გასაჯავრებლად უნათებდა თვალებში ავათმყოფს; ის არ გრძნობდა არც შაქროს ტკივილებს, არც ოჯახის შეწუხებ-შეშფოთებას.

მოუსვენარი კოდარა, ფანჯარასთან წვრილათ აღმართულ ალვის ხეს მისკუპებოდა და განუწყვეტლივ გაიძახოდა: „ტუკ, ტუკ, ტუკ, ტუკ“.

ბეღურათა გუნდი, ათასობით ეხეოდა შემოდგომით გაძარცვულ, ფოთლებ დაყვითლებულ ხეებს, შემოდგომის ღრუბელი ნელ-ნელა ფარავდა ქვეყნის მათბობელ მანათობელს.

— მღვდელს დაუძახოთ და ზეთი უკურთხოს, იქნებ აუშვას თუ ხატის ბრალია.—სთქვა ერთმა ხნიერმა მეზობელმა.

— გენაცვალეთ, შვილი მიზიარეთ, უზიარებლათ არ მომიკლათ ქრისტიანი სული.—დაიკვნესა დედამ და ფოფხვით მივიდა შვილთან.

— სადა ვარ... რა მოვიდა?—წამოიღლაპარაკა გონზე მოსულმა კეკემ. ტახტს გახედა და თოკებით შეკრული რომ დაინახა ქმარი, საშინლად წაიშინა ცხვირპირში ხელი. მომკალით, ჩამქოლეთ მე უბედური... მე უპატრონო, რას შაესწრო ამას ჩემი ოხერი თავი.—წუწუნებდა.

— ღმერთოო... დიდებულო... რა შეგცოდე, რა შეცოდება მომიძღოდა...—დაიყვირა დედაბერმა და მაღლა აღაპყრო ხელები.

— მომიტანეთ, ყველაფერი მომიტანეთ, შემოვავლო თავზე. ქალო სად არის შენი ნივთები.—დაუყვირა რძალს. ისიც წამოდგა და მუხლების კანკალით მივიდა „კაოდთან“. ყველა თვლები გადააქოთა, მაგრამ, რასაც ეძებდა ველარ ნახა.

— ადამიანო! დააჩქარე მაგ ხელს, რა მოგვიდა? მიაძახა კიდევ დედამთილმა.

— დედი აქ აღარც ნივთებია და აღარც კაპიკი ფული. უთხრა კეკემ. დედამთილმა განივრათ დააჭყიტა თვალები და იქ დამსწრეთ-კი, უნებლიეთ გადახედეს ერთი მეორეს.

მ. გარიყული.

(შემდეგი კვირას)

ვუძღვნი

„სახალხო გაზეთს“

ერს უხაროდეს შენი ფურცელი,
რომ შენ უჩვენო ცხოვრების კვალი,
არ დაიშურო სიტყვა მეტყველი
და გადიხადო მაშვრალთა ვალი.
თუ წმიდა არის—იყოს კურთხეულ,
კეთილი იყოს შენი მოვლენა
ერს ემსახურე, ერმა შენ გკვებოს,
ჭირსა გაუძელ, გქონდეს მოთმენა.

მოწაფე არჩილ ხუციშვილი.

გოგომ ლამაზმა

გოგომ ლამაზმა, მცინარმა
წუღები შემიკერაო,
ჟუჟუნა მუშა რო ვნახე,
გულში გაჩაღდა კერაო.
უთხარ: „რა ჰქენი“ იცინის,
სიტყვა არ დამიჯერაო.
ვიკითხე: „რა მოგცე მითხარი“
„რომ გული შეიჯერაო?“

—

ამბობს: მე მიყვარს წვალება,
თამაშობა და მღერაო.
მაცადე, ჩვენი ტრფიალი
მეტად ადრეა ჯერაო.
კარგა ხანს უნდა ეწვალო,
რომ გულმან შექმნას ჟღერაო,
უეკლოდ ვარდსა ვერ მოსწყვეტ,
„ნახამ, თუ არა გჯერაო!“

—

ხედავ და ძალზედ გინდება
იმათი კოცნა, ხვევნაო,
ძნელი ყოფილა, ტიალი,
ქალების უკან დევნაო.
ბევრი ველოდე, ვეწვალე,
გულმა ჰგრძნო ეკლის კბენაო,
მაგრამ მე ვარდი არ მომცეს,
ამაოდ შემრჩა რბენაო!..

ალ. ყაზბეგი.

მუქარა.

მტერო, დამჩაგრე... არ ვსტირი
ტირილი დიაცთ წესია.
ბევრჯელ ვყოფილვარ ამ დღეში
და არც-კი დამიკვნესია.
მაცადე... მეცა გავმართო
ჩახმახი ცეცხლის მკვეთია,
სულ წმინდათ მოგამკვინებ
რაც ჩვენში დაგითესია.

ა. ყაზბეგი.

ილგალი.

ზოგსა ილბალი მიაყრის
ულეველს ქონებასაო—
ზოგს გაჩენიდან სიკვდიმდე
არგუნებს ღონებასაო.
ზოგსაც უტვინოს ხელთ მისცემს
მთლად ქვეყნის მონებასაო,
ზოგსაც სატირლად გაუხდის
ჭკვას და გონებასაო.

ა. ყაზბეგი.

ზოგის კანონი.

ზოგის კანონი დაიქცეს
და ზოგის სახარებაო.
ერთხელ ვერ ნახოს იმისგან
ბეჩავმა გახარებაო.

ა. ყაზბეგი.

ნუ თუ მართალია?

ზოგიერთი ექიმი აფთიაქის შემოსავლის გასაძლიერებლად ძვირფასს წამალს უწერავს ავათმყოფებს, რომელთა შორის ბევრი შეუძლებელია.

გლეხთა ავლა-დიდება

(რუსულ წყაროებით)

გლეხის ოჯახს შავი პური გაცილებით ნაკლები მოსდის, მინამ რაც უნდება. იმიტომ იანვრიდანვე იგი პურის ზრუნვას უდგება.

აი ანგარიში:

ერთ სულს რუსეთში ჩვეულებრივ საცოდავ კვებისთვის უნდება:

არჟანოის პური	18 ფ.	
კარტოფილი	5 ფ.	1 გ.
ქვიშნა	1 ფ.	
წმინდა პური	2 ფ.	1 გ.
საკორკოტე		8 გ.
სულ	26 ფ.	10 გ.

მარტო კარტოფილი და არჟანოის 22 ფუთი მაინც უნდა ჰქონდეს, რომ შიმშილით არ მოკვდეს.

მაგრამ პროფესორს ოზეროვს 1883 წ. 1898 წ. უანგარიშნია რუსეთში ამ საკვებთა რაოდენობა და გამოჰყავს, რომ სულზე 18 ფუთზე მეტი არ მოდისო. თუ მოუსავლობა დადგა 13-ს და 14 ფუთსე ზევით არ ადიანო. დიდი ნაწილი ამ საკვებისა, თურმე საზღვარ გარეთ იყიდება და შინ მშიერნი რჩებიან.

რუსეთი სიუხვით-კი არ ჰყიდის ყველა ამას, არამედ გასაჭირით, რომ სხვა ნაკლულეკანებანი დაფაროს. აი სხვა ქვეყნების ანგარიში ამის შესახებ: შეერთებულ შტატებში სულზედ ფქვილი და კარტოფილი მოსდით 66 ფ. 9 გ.

დანიაში 50 ფ.

კანადაში 47 ფ.

მარტო ინგლისში 12 ფ. და 5 გირ. მოსდის ეს საკვები სულს, მაგრამ ინგლისი სამაგიეროთ ბევრს ყიდულობს უცხო ქვეყნებიდან ამავე საკვებს...

რუსეთში ხორცი სულზედ 4 გირ. მოდის, სხვა ქვეყნებში რამდენიმე ფუთი... რუსეთში კვერცხი სულზედ 8 ცალი მოდის, სხვა ქვეყნებში 200 ცალი, რუსეთი-კი დიდძალ კვერცხს ჰყიდის საზღვარ გარეთ. განა ეს გაყიდვა სიუხვისაა, არა, იგი საშინელი გაჭირვებისაა!.. „გაჭირება მიჩვენე, გაქცევას გიჩვენებო“!..

ყუაზედ გასვლა რუსეთში ხალხის დიადი თვალთ-საჩინო საქმეა და როდესაც სტატისტიკამ ასე შეუბრალებლად აჰხადა ამ საქმეს ფარდა, მინისტრმა პლეევემ აკრძალა ყოველგვარი სტატისტიკური კვლევა... გაზეთებში არ შეეძლოთ ეხსენებინათ—„აქ გაჭირებაა“, „იქ შიმშილია“.

ზ. გულისაშვილი.

მიაქციონ ყურადღება.

სასურველია, რომ ამ ამბავს მიაქციონ ყურადღება, ნამეტნავად, პროვინციიდან ჩამოსულებმა. ქალაქში არსებობს ერთი ჯგუფი, რომელნიც სათამაშო სამ ქაღალდს ათამაშებენ; გაჩვენებენ ორ შავს და ერთს წითელს და თანაც ამბობენ, ვინც წითელს იპოვნის, იმას ამდენს და ამდენს ფულს მივცემთო ამ დროს ისევ თავის ამხანაგი მიუჯდება გვერდით და იპოვის წითელს, გამოართმევს ფულს თუმანს, ორ თუმანს, ახლა მესამე ამხანაგი მოუგებს. თქვენც უყურებთ ამ თამაშას და ძალა უნებურათ გაგიტაცებთ ოქროს სიყვარული და დაიწყებთ თამაშს, სამ წამში უკაპეიკოთ დაგტოვებენ. ამ რამდენიმე დღის წინათ ერთი ქიზიყელი მემამულე ჩაეგდოთ ხელში და სამი თუმანი და შვიდი მანეთი მოეგოთ. იქნება გგონიათ, რომ მოტყუება ხდება სახლში? — არა, ზედ შუა ქუჩაში უფრო იმ ალაგას, სადაც აუარებელი ხალხი დადის მაგ. როგორც ბორანთან მუხრანიანთ ხიდთან. კარგი იქნება მიექცეს ყურადღება ვისიც ჯერ არს.

—ონავ.

გურია.

ქ. ოზურგეთი. (ნოქარ-შეგირდთა ცხოვრებიდან). მეტათ აუტანელ პირობებში იმყოფებიან ოზურგეთის ნოქარ-შეგირდები: მათთვის არ არსებობს არც დასვენება, არც ბინა, ხვირიანი საჭმელ-სასმელი. იყო დრო, როდესაც მათში არსებობდა კავშირი, მაგრამ დღეს სულ სხვას წარმოადგენენ. ნაცვლად ამისა გამეფებულია ლოთობა, კარტნარდის და კამათლის თამაში, ამას სჩადიან ისინი, რომლებსაც უწინ მეთაურათ მოჰქონდათ თავი, და ამის წახედული პატარა ნოქარ-შეგირდებიც ამას სჩადიან; ამით წათამამებული ხაზეინები მათ ზურგზე ფერხულს თამაშობენ. როცა მოესურვებათ, მაშინ კეტავენ დუქნებს.

ყველაზე მეტ აუტანელ პირობებში იმყოფებიან ხარაზების ნოქარ-შეგირდები, დილიდან დაწყებული ღამის პირველ საათამდე მუშაობენ. ხშირათ გაიგონებთ ხოლმე ი. კ—ვას და ბ. გ—ძეს შეგირდებიდან: „გვშია, დღეს საჭმელი არ გვიჭამიაო“. ეს ვაჟბატონები ყველაზე უფრო ცუდათ ეპყრობიან თავიანთ შეგირდებს. საჭიროა თვით ნოქრებმა მიაქციონ ამას ყურადღება, თავი დაანებონ ლოთობას და სხვა უწესოებას, თორემ ...ბოლოს თითზე კბენანი გვიან იქნება.

„გლეხის შვილი“.

წვრილი ამბები

მუშათათვის მატარებელნი.

შედარებითი სიძვირე ტრამვაისა ხელს უშლის მუშებს, რომელნიც თითქმის ვერ სარგებლობენ მით. ამის გამო პეტერბურგის თვით-მმართველობის ხმოსანთა ერთმა ჯგუფმა მიმართა საბჭოს, რომ ქალაქის რკინის გზებზე შემოიღონ განსაკუთრებული ვაგონები მუშებისათვის დაკლებულის ფასით (3 კ.), რომელნიც იქნიან დიდის 7—9 საათამდე.

მუშათა ეთვი ვაგონების აზრი არ ახალია, იგი სავსებით განხორციელებულია დასავლეთ ევროპაში, სადაც ეს საშუალება მეტად ხელს უწყობს ქალაქის გარეთ ეთვი სადგომების გაშრავლებას.

ამ მხრივ პირველი ადგილი ინგლისს უჭირავს, სადაც მუშების მატარებლებს მრავალი მუშები გადმოჰყავს ლონდონის განაპირა უბნებიდან და ქალაქის გარეშე სოფელ დაბებიდან. საზოგადოდ ინგლისში დაკლებულ ფასიანი მატარებელთა მოძრაობა 1883 წლის კანონით არის განსაზღვრული, რომლის ძალით ტრამვაის საზოგადოება მოვალეა დადგენილი რიცხვი ვაგონებისა ატარის დაკლებულის ფასით. ინგლისში მრავალი რკინის გზებია გაკეთებული, რომელთა ორი მესამედი ნაწილი ქალაქ გარეშე სადგიდებს აერთებს.

რა თქმა უნდა, ჩვენში ვერ კანონიერდებით საქმის ასეთს გაკეთებას, ეროვნულობის უკანა ვართ ჩამორჩენილნი, გვიან მიგებაძავთ დასავლეთის კულტურას, მაგრამ სულ არარაობას, დაგვიანებულა მიბაძვა კარგისადმი მაინც სახეირო უნდა იყოს.

რუსეთში დაგვიანებული მიბაძვა ბოლოს მაინც განხორციელდება, მაგრამ აქ კაკასიაში, თუნდ ტფილისში რომ დაიბადება მხოლოდ დიტონი აზრი, ამის გამოტანობა ტრამვაის მეთაურებს უნდა ეკითხოს.

საუკურადღებო დეპეშების შინაარსი.

გაზეთებიდან.

არეულობა საბერძნეთში

19 ოქტომბერს, არა ჩვეულებრივი კრება იყო. კრებაზე შეეხნენ საზღვაო აფიცერთა არეულობას და გაჰკიცხეს მათი მოქმედება.

პეტერბურგი. მთავრობა მეტადა სთვლის სპარსეთში ჯარი იყოლიოს, ამიტომ სპარსეთიდან გამოიყვანს რუსის ჯარს. სპარსეთში დარჩება მხოლოდ ყაზახთა ლაბინსკი პოლკი. ამ პოლკიდან 50 ყაზახი წავა ყაზვინში, რუსის კონსულის სადარაჯო

რაზმის გასაძლიერებლად. პოლკის დანარჩენი ნაწილი დროებით ენზელს ან რეშტში დაბანაკდება საკონსულოების სადარაჯო რაზმების გა'აძლიერებლად. თუ საჭირო იქნება რუსეთის მთავრობა ამ რაზმს შესაფერისად გააძლიერებს.

რეშტი. 17 ოქტომბერს ენზელში გაიხსნა პირველ-დაწყებითი სკოლა, სკოლას შეინახავენ ენზელში რუსების სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი.

სარატოვი. ირინოვკაში გადაიწვა 29 სახლი. დაიწვა 11,000 ფუთი პური.

პეტერბურგ. დღე-ღამეში ავად გახდა 18, გარდაიცვალა 4, ავად არის 11 კაცი.

ვოლდოგრადი. ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1 კაცი.

გროდნო. ავად გახდა 1, გარდაიცვალა 2 კაცი; მაზრაში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 2 კაცი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

✦ რუისიდან იწერებიან: გლეხკაცები დიდ გაჭირვებას განიცდიან, მოუსავლობის გამო. ლადო გულისაშვილის მეთაურობით განუზრახავთ გახსნან სასოფლო ბეღელი, საიდანაც გაჭირვებულთ პურის სესხით დახმარებას აღმოუჩენენ მცირე სარგებლით. მადლობის ღირსნი არიან ამგვარი პირნი და იმედია სხვებიც წაბაძავენ ასეთს მაგალითს.

✦ წარსულ კვირას გაიხსნა კრება, ღარიბ მოწაფეთა დამხმარებელ ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა პავლე იოსებისძის თუმანიშვილის თავმჯდომარეობით, რომელმაც მოაგონა კრებას გარდაცვალება დ. მელიქიშვილისა, ქ. მამაცაშვილისა, გ. მაჩაბლისა, გ. მგალობლიშვილისა, გ. აგლაძისა, გ. ყაზახაშვილისა, ვ. ლორთქიფანიძისა და გ. ვოლსკისა. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულთა ხსოვნას. შემდეგ თავმჯდომარემ წაიკითხა სია იმ საკითხებისა რომელნიც შეადგენენ საგანს წლევანდელ კრებისას. ერთმა დამსწრეთაგანმა შეიტანა ახალი საკითხი სამასწავლებლო სემინარიის დაარსების საჭიროებაზედ. კრება გადიდო მომავალ კვირისათვის.

✦ სოხუმის ექვს კლასიან პროგიმნაზიას წელს მეშვიდე კლასი მოუმატეს.

✦ სომხურ გაზეთს ატყობინებენ, რომ ამ ორ კვირის განმავლობაში ოსმალეთში 900 სომეხი დაბრუნებულა.

✦ წარსულ შაბათს სურამის ებრაელთა უბანში გაჩნდა ცეცხლი რომელმაც ჩანთქა თითქმის 120 კომლამდე.

✦ თელავის ქალაქის მოურავათ აურჩენიათ თათუზოვი, რომელსაც ამოსვლია 7 თეთრი და 6 შავი კენჭი.

✦ როგორც ვწერდით, ტფ. ტრამვაის დირექციამ ახალი წესები გამოსცა. რადგან მოსამსახურენი არ დაემორჩილნენ ამ წესებს, 18 ოქტომბერს ტფ. პოლიცმეისტერმა ტრამვაის პარკში გამოუცხადა მოსამსახურეებს: ძველი წესები გაუქმებულად ითვლება, მათ ნაცვლად შემოღებულ იქნება ახალი წესები, რომელნიც დაამტკიცა დირექციამ და მოიწონა ადგილობრივმა უმაღლესმა ადმინისტრაციამ. ვისაც არა სურს დაემორჩილოს ამ ახალ წესებს, მან უნდა ანგარიშები გაასწოროს, სამსახური დან გავიდეს და თუ სურს მხოლოდ ამას შეუძლიან მიმართოს სასამართლოს და ამ წესებით ეძიოს თავის უფლების აღდგენა.

✦ 19 ოქტომბერს, ღამის 12 საათზე, ტფ. მოქალაქე ნიკოლოზ კალმიკოვი კახეთის მოედანზე თავს დასცემია მოქალაქეს ვასილ შაუტაშვილს და ზურგში 5-გან დაუჭრია ბებუთით. კალმიკოვი მიმალულა, მაგრამ იგი დააპატიმრეს. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ „ტფილ ფ." გაუგია, რომ კურსკის გუბერნიის რამდენიმე ოჯახს თავად ანდრონიკაშვილებისაგან სიღნაღის მაზრაში უყიდნია 1100 დესეტინა მიწა, თითო დესეტინა 126 მანეთად საგლეხო ბანკის დახმარებით. დესეტინაზე ფულად გადაუხდიათ 16 მანეთი, დანარჩენი საგლეხო ბანკის ფურცლებით.

რედაქტორ-გამომცემელი

ᲓᲐᲠᲘᲐ ᲮᲠᲐᲛᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ვეძებთ ამხანაგებს კაპიტალით

ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲖᲔ.

ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲦᲕᲘᲜᲘᲗᲐᲪ ᲒᲐᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲓᲔᲡ.

პირობები შეიძლება გაიგოს „Москов-скіе Номера", № 20, დილის 9—10 საათ:მდე.

ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ

ამზადებს მოწაფეთ საშუალო სასწავლებლისათვის.

იზმაილოვის ქუჩა № 14.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲚᲐᲡᲘ ᲢᲔᲠ-ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡᲐ

(ჩინის მიღების უფლებით)

იხსნება მომავალ წლის პირველ ნოემბერს. სწავლა ნაშუად. $4^1/_2$ ს.-დან. ნახევარი წლის ფასი 60 მ. წინ და წინვე უნდა იქმნას შეტანილი. მოსამსახურეთათვის განაწილება შეიძლება.

ველიკო-კნიაზის ქ., № 17, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. შესასვლელი მიხეილის პროსპ. № 16-18. (5—1)

განცხადება

შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებაშია

პირველი კავკასიის სტენოგრაფიული კურსები

Თ. ᲐᲙᲝᲤᲘᲐᲜᲘᲡᲐ.

ტფილისი, მიხეილის პროსპ., № 53.

შესდგება მე-3-მე ჯგუფი მსმენელთა ორთავე სქესის.

სტენოგრაფია ხელოვნებაა ისეთივ ჩქარის წერისა, როგორც ლაპარაკი. იგი საჭიროა უეჭველ განათლებულ ადამიანისათვის. სწავლის დასაწყისი 15 ოქტომბერს ამა წლის მიიღებიან სადამოს $4—7^1/_2$ საათ. პროგრამა, პირობები და სტენოგრაფიის მნიშვნელობა ეძლევათ კურსების სადგომში კურს დამთავრებულნი თითო წამს 120 სიტყვას სწერენ და ეძლევათ მათ სათანადო დიპლომი. (10—6)

ᲕᲔᲠᲐᲖᲔ ᲒᲣᲜᲘᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲔᲢᲠᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲜᲐᲭᲠᲝᲑᲘᲗ.

მიწა, საჟ. 5—15 მან.

ფასის გადახდა ნაწილობით.

მიმართეთ „გუტენბერგის" სტამბაში, ოლგის და სლეპცოვის ქუჩის კუთხე. (4—4)

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ

ᲙᲐᲣᲩᲣᲙᲘᲡ

შტემპელებისა.

Ე. Გ. ᲙᲝᲑᲠᲔᲑᲔᲪᲙᲘ

ტფილისში, ლონდონის სასტუმროს ქვეშ. ბეჭედი და შტემპელი, კლიშე, სტამბის საქმეები. (4—4)

ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲙᲚᲔ ᲮᲐᲜᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ

ახალი წიგნი კ. პ. კანდელაკისა.

ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐ

(თეორია, ისტორია და პრაქტიკა).

ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲔᲑ

შეკრებილი ი. კარგარეთელის-მიერ.

იყიდება „ქ.-შ. წერა-კითხვის გა მავრცელებელ საზოგადოების" წი გნის მაღაზიაში.

ᲡᲢᲐᲛᲑᲐ „ᲒᲣᲢᲔᲜᲑᲔᲠᲒᲘ"

ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ ᲡᲐᲡᲢᲐᲛᲑᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲡ

სუფთად, დროზე და იაფად ყველ ენაზე. ოლგისა და სლეპცოვ კუთხე № 1.

ა ლ მ ე ზ ა.

ა ლ მ ე ზ ა სულ, ერთ წუთში სპობს კბილის ტკივილს, აგრეთვე კარგავს პირ სიმყრალეს, და აჩერებს სისხლის დენასა. ამაგრებს კბილებს, ზრდის ნონებსა.

აუცილებელი საჭიროა ყოველს ოჯახში და მოგზაურობის დროს. ფასი ნორმალუ რი ფლაკონისა 1 მ. 20 კ. საცდელი. ფლაკ. 40 კ.

თმის საშვალება პრიმა.

პრიმა აჩერებს თმის ცვევნასა, სპობს უცბათ თავის ქერტლსა. აგრეთვე თმა იღებ შემდეგ რამოდენიმე ხმარებისა. ფასი ფლაკ. 1 მ. 20 კ.

საყურადღებოთ ციებ-ცხელებით ავათმყოფებისათვის.

ჩვენი ციების წამალი სპობს სულ მოკლე დროში ძველს და ახალს ციებ-ც ლებასა ფასი 1 მ. 50 კ.

დარიგება ყველას თან ახლავსთ. ვგზავნით ფას დადებით. საჭიროა ბე ერთი მესამე

კანტორა და სკლადი თფილისი ქუჩა ნეკრასოვისა № 14 ვორონცოვის. ტ. ძეგლ მახლობლათ.

წარმომადგენელი მთელი კავკასიისა ი. ახობაძე

Кантора и складъ „Т". Тифлисъ Некрасовская улица № 14 И. Ахобадзе

(50—3)